

Nino Surmava

ნინო სურმავა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Issue of Cultural Identity in Al-Tayyib Salih's writings

(“Season of Migration to the North” and “The Doum-tree of Wad Hamid” as an examples)

კულტურული იდენტობის პრობლემა ატ-ტაიბ სალიჰის შემოქმედებაში

(„მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“ და „ვად ჰამიდის პალმის ხე“)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10903>

The issue of cultural identity is one of the most prominent themes in Al-Tayyib Salih's writings, particularly in his novel “Season of Migration to the North” which deeply explores the tensions, transformations and crises that arise from intersection of Eastern and Western cultural influences. In his short story “The Doum-tree of Wad Hamid” Salih juxtaposes village life, its customs, beliefs and social structures with modern and urban life. Salih's writings is a profound exploration of cultural identity in a postcolonial world. His characters reflect the internal conflicts of individuals caught between different worlds- colonial and indigenous, modern and traditional, Western and Eastern.

Keywords: East-West, cultural identity, Al-Tayyib Salih

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ-დასავლეთი, კულტურული იდენტობა, ატ-ტაიბ სალიჰი

ატ-ტაიბ სალიჰი „ორი კულტურის“ მატარებელ არაბ მწერალთა ჯგუფს მიეკუთვნება. სუდანის პროვინციაში გატარებულმა ბავშვობამ, არაბული კულტურისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნამ, ევროპაში მიღებულმა განათლებამ და ემიგრაციის წლებმა, დასავლური ლიტერატურისა და ფილოსოფიის გავლენამ გაამდიდრა მისი შემოქმედება და განუმეორებელი ორიგინალობა შესძინა მას. ატ-ტაიბ სალიჰი დაიბადა 1929 წელს სუდანში. ხარტუმის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ინგლისში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. სალიჰის შემოქმედების ძირითადი მოტივია შეჯახება აღმოსავლურ და დასავლურ კულტურებს, ქალაქსა და სოფელს, ახალსა და ძველს შორის და ამის შედეგად წარმოქმნილი კულტურული იდენტობის პრობლემა. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა სალიჰის რომანში „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელობის სახელი მოუტანა ავტორს. რომანში ნაჩვენებია ბრიტანული კოლონიური მმართველობის შედეგი სუდანში, როცა ადგილობრივი ინტელექტუალები გახლეჩილნი აღმოჩნდნენ აფრიკულ-არაბულ და ევროპულ კულტურებს შორის (ვილანდტი, 1981, გვ. 487).

რომანის მთხრობელი და მუსტაფა საიდი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები არიან. ტექსტში ერთმანეთის პარალელურად ორი სიუჟეტური ხაზი ვითარდება. მთხრობელი ბრუნდება სუდანში, თავის მშობლიურ სოფელში, ინგლისში გატარებული 7 წლის შემდეგ, სადაც მან საუნივერსიტეტო განათლება მიიღო. თანასოფლელებს შორის მის ყურადღებას იპყრობს „უცხო კაცი“ სახელად მუსტაფა საიდი. მთხრობელი დაეჭვდება მეზობლის ვინაობაში და სწორედ მისი ცნობის-მოყვარეობის შედეგად ეცნობა მკითხველი მუსტაფას განვლილ ცხოვრებას ინგლისში. მწერალი

რეტროსპექციას მიმართავს და აწმყოდან წარსულში გვაბრუნებს მუსტაფას გასაცნობად: სუდან-დან ინგლისში განათლების მისაღებად წასული მუსტაფა საიდი 24 წლის ასაკში ხდება ეკონომიკის ლექტორი ლონდონის უნივერსიტეტში. რომანის საკვანძო საკითხია მუსტაფას ურთიერთობა ინგლისელ ქალებთან, რომელიც 30 წლის განმავლობაში გრძელდება, მთავარი გმირი ყველანაირი გზით ცდილობს მათ შეცდენას და საბოლოოდ თვითმკვლელობამდე მიჰყავს ისინი. მუსტაფა სარგებლობს მეოცნებე ქალების წარმოსახვაში არსებული აფრიკული ეგზოტიკურობით, საძინებელ ოთახში განზრახ ქმნის აღმოსავლურ ატმოსფეროს, რათა ქალები გაებან მის მახეში. ბოლოს, ის 7 წელს ციხეში გაატარებს ინგლისელი ცოლის მკვლელობისთვის.

დასავლეთთან ურთიერთობა მუსტაფასთვის ტრაგიკულად მთავრდება. მისი შინაგანი სულიერი და მორალური სამყარო გარყვნილი და დამახინჯებულია. მიუხედავად იმისა, რომ მან შეითვისა ევროპული კულტურა, თავად ვერ ინტეგრირდა მასში და ამასთან, მშობლიურ ფესვებსაც მოწყდა, სამშობლოშიც მუსტაფა არის „უცხო“. მთავარი გმირი ვერ პოულობს სიმშვიდეს, კულტურული იდენტობის კრიზისი მისთვის გადაუღალავია და ბოლოს ნილოსში უჩინარდება. ამდენად, მუსტაფა ნეგატიური მოდელია განათლებული სუდანელისა. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ის პასიურია საკუთარ საზოგადოებაში. ის არის „ჰიბრიდი“, რომელმაც ვერც ერთ კულტურაში ვერ იპოვა საკუთარი ადგილი და როლი (კუდსი, 2003, გვ. 211).

მუსტაფასგან განსხვავებით, მთხრობელი იბრძვის თვითიდენტიფიკაციისთვის, ცდილობს სხვა კულტურიდან აიღოს კარგი და თან არ მოწყდეს მშობლიურ ფესვებს. ამ ბრძოლაში მთხრობელის ემოციური ბალანსი ირღვევა, როგორც მუსტაფას შემთხვევაში მოხდა. სულიერი კრიზისის ქაშის ისიც გადაწყვეტს ნილოსის გადაცურვას, რომელიც მიედინება სოფლის ჩრდილოეთით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. შუა გზაზე მთხრობელი იგრძნობს, რომ ძალ-ღონე გამოეღია და აღარ შეუძლია არც ჩრდილოეთ ნაპირამდე მიღწევა და არც სამხრეთ ნაპირისკენ დაბრუნება. ჩრდილოეთი და სამხრეთ ნაპირები სიმბოლურად დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებს განასახიერებენ. მთხრობელი ორ ნაპირს შორისაა: ტოვებს ტრადიციულ აფრიკულ-არაბულ ღირებულებებს ანუ სამხრეთ ნაპირს, მაგრამ ევროპულთან ანუ ჩრდილოეთ ნაპირთან შეერთებაც არ შეუძლია და შველას ითხოვს (სალიჰი, 1997, გვ.156). ამ ბრძოლიდან მთხრობელი გამარჯვებული გამოდის. იგი ირჩევს სიცოცხლეს, მისთვის ინდივიდუალიზაციის და „საკუთარი კულტურული ფესვებისკენ მიბრუნების პროცესი“ წარმატებით დასრულდა (სიდიკი, 1978, გვ.104) და იდენტობის კრიზისი გადალახულია. მდინარე ნილოსი რომანში ერთდროულად არის სიმბოლო აღდგენისა და ნგრევისა. მდინარის გადაცურვა კი გამოხატავს თვითტრანსფორმაციას. მდინარე, რომელიც მთხრობელისთვის განწმენდისა და კათარზისის, სულიერი კრიზისის გადალახვის გზას წარმოადგენს, მუსტაფა საიდისთვის – გაუჩინარების, სიკვდილის საშუალებაა.

ამდენად, სპეციფიკური ისტორიული სიტუაცია: ტრადიციული აფრიკულ-არაბული და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციების შეჯახება ზეგავლენას ახდენს რომანის ორ მთავარ გმირზე. მათი პრობლემაა, განსაზღვრონ კულტურული იდენტობა უცხო ცივილიზაციის წინაშე, რომელიც აგრესიულად შემოიჭრა მათ ტრადიციულ გარემოში, თუმცა რომანის გმირებს ამ უცხო ცივილიზაციის უარყოფაც არ შეუძლიათ, რადგან ამ უკანასკნელმა მონაწილეობა მიიღო მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში და შეუთავსებელი გახადა ცხოვრების ტრადიციულ გზასთან (ვილანდტი, 1981, გვ. 492). ადამიანის კულტურული იდენტობის შეგნება ვლინდება მხოლოდ უცხოურ კულტურასთან კონფრონტაციაში, ამიტომ ბრიტანეთში ჩასვლისთანავე მუსტაფა კულტურულ სხვაობას გრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მუსტაფა საიდი განიცდის კულტურულ ასიმილაციას დასავლურ სამყაროსთან, შეცნობა იმისა, რომ ის არის მოშორებული საკუთარ კულტურას და დამცირებული ევროპული ცივილიზაციისგან, თანდათან იზრდება. ამავე დროს მუსტაფა ხვდება, რომ ეს კულტურული დამორება და დამცირება არ არის მხოლოდ მისი ინდივიდუალური, არამედ ევროპული კოლონიალიზმით დაპყრობილ აფრიკელთა და არაბთა კოლექტიური ბედა. ამ შემეცნებითი პროცესის დეტალები არ არის ნაჩვენები რომანში, მაგრამ ამის ცხად გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ მუსტაფა საიდის განზრახვა, დაიმორჩილოს ინგლისელი ქალები. მუსტაფა ამით თავს იცავს და სამაგიეროს უხდის ევროპას კოლონური პოლიტიკის გამო, რომე-

ლიც გაატარა მის ქვეყანაში. მუსტაფა საიდის საქციელი რომანის ერთ-ერთი ინტერპრეტაციით გამოწვეულია არაბთა „კოლექტიური არაცნობიერის“ გავლენით. მუსტაფა იყენებს მეტაფორებს: ის, რომ ინგლისელი ქალები ვერ უძლებენ მის შემოტევებს, გამოწვეულია „სასიკვდილო სენით“, რომელიც ევროპელებმა გადასდეს დანარჩენ სამყაროს სულ ცოტა 1000 წლის წინ და რომლის შედეგსაც მუსტაფა ახლა უბრუნებს მათ (ვილანდტი, 1981, გვ. 494).

მიუხედავად იმისა, რომ რომანის ორი მთავარი გმირის თემატური, სტრუქტურული და სტილისტური ანალოგიები მუსტაფას წარმოგვიდგენს როგორც მთხრობელის ალტერ-ეგოს, ცივილიზაციების შეჯახება სრულიად განსხვავებულად მოქმედებს მათზე. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია მათი განსხვავებული პიროვნული განწყობილებებითა და აღზრდით და ნაწილობრივ იმით, რომ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან და მამასადამე, აქვთ განსხვავებული გამოცდილება ბრიტანეთთან ურთიერთობისა. მუსტაფა წავიდა ოქსფორდში სწავლის გასაგრძელებლად მაშინ, როდესაც ინგლისს ეპყრა სრული ძალაუფლება სუდანზე, მთხრობელმა კი დაასრულა თავისი სწავლა ინგლისში დაახლოებით 30 წლის შემდეგ, როცა ბრიტანული კოლონიური მმართველობა სუდანში დასრულებული იყო და მიმართება ბრიტანული ცივილიზაციის მიმართ - შეცვლილი. მუსტაფა საიდის შემთხვევაში, კულტურული იდენტობის კრიზისი პირდაპირ გამოწვეულია კოლონიური სიტუაციით. ამიტომ, მუსტაფა საიდის განზრახვა, დაიმორჩილოს ინგლისელი ქალები, სხვა არაფერია, თუ არა რევანში კოლონიური პოლიტიკის გამო, რომელიც ბრიტანეთმა გაატარა მის ქვეყანაში. ამას რომანში მრავალი პასაჟი გვიჩვენებს. მუსტაფა თავის მსხვერპლს, ბრიტანელ ქალს, ადარებს ქალაქს, რომელსაც ის იპყრობს და იმორჩილებს. ევროპელი ქალი, რომელიც სიმბოლურად დასავლეთს განასახიერებს, არის გულუბრყვილო და მსხვერპლი, ხოლო აღმოსავლეთის სიმბოლო - მუსტაფა გამოდის დამპყრობლისა და კოლონიზატორის როლში (კუდსი, 2003, გვ. 213).

მუსტაფა საიდის „რევანშისტული კამპანიისგან“ განსხვავებით, რომანის მთხრობელი უარყოფს ძალადობის პრინციპს. ეს ჩანს არა მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ ინგლისში ყოფნის დროს ის არ ჩადის არანაირ ბოროტმოქმედებას, არამედ იქიდანაც, რომ რომანის ბოლოს მთხრობელი არ დაწვავს მუსტაფას სახლის „ინგლისურ“ ოთახს. ეს ოთახი წარმოადგენს მუსტაფას პიროვნების ევროპულ მხარეს, რომელიც შექმნა ევროპულმა კოლონიალიზმმა. მთხრობელს სჯერა, რომ ოთახის დაწვა სიმბოლურად გააგრძელებს ევროპელ კოლონიალისტთა ძალადობის ჯაჭვს. მას კი მიაჩნია, რომ ეს ჯაჭვი უნდა გაწყდეს. მისი მიმართება ევროპასთან არსებითად განსხვავებულია. მან განათლება მიიღო ინგლისში მაშინ, როცა სუდანი უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. მეორეს მხრივ, მთხრობელი უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის მშობლიურ სუდანთან, ვიდრე მუსტაფა საიდი. ინგლისში გატარებული წლების შემდეგ მთხრობელი თავს არ გრძნობს მშობლიური გარემოდან მოშორებულად:

„ფანჯრიდან ჩვენი სახლის ეზოში მდგარ პალმის ხეს გავხედე და მივხვდი, რომ ცხოვრება ისევ მშვენიერია. ვუყურებ ამ ხეს, - ტანადსა და ძლიერს, მიწაში გადგმულ მის ფესვებს, ზემოდან დაშვებულ მწვანე ტოტებს და ვგრძნობ, რომ საოცარი სიმშვიდე მეუფლება, ვგრძნობ, რომ არ ვარ ბუმბული, რომელსაც ქარი ადვილად გაიტაცებს, არამედ - ისეთი ხე, რომელსაც აქვს მყარი საფუძველი, ფესვები, დანიშნულება“ (სალიჰი, 1997, გვ. 30).

კულტურული იდენტობის პრობლემა სალიჰის შემოქმედებაში მხოლოდ ორი განსხვავებული აღმოსავლური და დასავლური სამყაროს შეხვედრით არ წარმოიქმნება. ქალაქისა და სოფლის, თანამედროვე და ტრადიციული ცხოვრების ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგად გაჩენილი კულტურული იდენტობის კრიზისია ნაჩვენები სალიჰის ნოველაში „ვად ჰამიდის პალმის ხე“. ავტორი სოფლის ცხოვრებას, ტრადიციებს და რწმენებს თანამედროვე ურბანულ გარემოს უპირისპირებს. ტრადიცია მოდერნიზაციის პირისპირ - ეს კულტურული იდენტობის პრობლემის ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტია ხსენებულ ნოველაში. „ვად ჰამიდის პალმის ხე“ შესულია ამავე სახელწოდების ნოველათა კრებულში, რომელიც 1961 წელს გამოიცა. გამოცემიდან მალევე ნოველები ინგლისურად თარგმნა არაბული ლიტერატურის ცნობილმა მთარგმნელმა და ატ-ტაიბ სალიჰის

მეგობარმა დენის ჯონსონ-დევიდმა, მასვე ეკუთვნის მწერლის რომანების თარგმანებიც. სწორედ დენის ჯონსონ-დევიდის ინგლისური თარგმანების წყალობით სალიპი მალევე გახდა მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული არაბი ავტორი. ნოველა „ვად ჰამიდის პალმის ხე“ ტრადიციისა და თანამედროვეობის, ქალაქისა და სოფლის, ძველისა და ახლის დაპირისპირების ამბავს გვიყვება. ვად ჰამიდი არის გამოგონილი სუდანური სოფელი, რომელიც სალიპის არაერთ ნაწარმოებში მეორდება, ასევე მეორდება მთხრობელის პერსონაჟიც და ამ ფაქტს უკავშირდება „ვად ჰამიდის ციკლის“ ტერმინის დამკვიდრება. ეს არის უწყვეტი ნარატიული ციკლი, რაც სალიპის ნოველებსა და რომანებს ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს. „ვად ჰამიდის ციკლის“ მთავარი პერსონაჟი (მთხრობელი) პირველად ჩნდება ნოველაში „ერთი მუჟა ფინიკი“, სადაც ის ჯერ კიდევ პატარა ბიჭია, შემდეგ რომანში — „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“, სადაც ის უკვე ახალგაზრდა კაცია, მოგვიანებით — შუა ხნის მამაკაცი ნოველაში „კვიპროსელი კაცი“ და ბოლოს მოხუცი კაცი რომანში „ბანდარშაჰი“ (ჰოული, 2001, გვ.398). ლიტერატურის კრიტიკოსები ფიქრობენ, რომ ერთი მთხრობელის ხაზი სალიპზე კონრადის გავლენის შედეგია.

„ვად ჰამიდის პალმის ხეს“ ჰყავს მთხრობელი, რომელიც სოფლის ამბავსა და პალმის ხის ისტორიას უამბობს ახალგაზრდა ქალაქელ სტუმარს. ვად ჰამიდის მოსახლეობა მშვიდ და რუტინულ გარემოში ცხოვრობს და კმაყოფილია თავისი რთული პირობებით. სოფლის მოსახლეობას არაფრის შეცვლა არ სურს, ისინი მიჩვეულები არიან თავიანთ მძიმე ყოფას, მანვე მწერებს, ქვეწარმავლებს: „ჩვენ სქელი კანი გვაქვს, სხვებისგან განსხვავებული, შევეჩვიეთ ასეთ მძიმე ყოფას“—ამბობს მთხრობელი (სალიპი, 1997, გვ. 34). პალმის ხე სოფლის უძრავობის, სიახლის უარყოფის და ძველი ტრადიციის დაცვის სიმბოლოდ გვევლინება ნოველაში. რაც სოფელი არსებობს, ხეც ურყევად დგას, არავის ახსოვს, როგორ აშენდა სოფელი, საიდან გაჩნდა პალმის ხე, რომელიც სოფელს გადმოჰყურებს გუშაგვით. ხალხი ხეს სიზმარშიც ხედავს და კარგის მომასწავებლად მიიჩნევს ამას, შესაწირს სწირავს მას და მფარველად, მხსნელად მოიაზრებს. „აქ არ არსებობს კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი, ერთხელაც რომ არ ენახოს სიზმარში ვად ჰამიდის პალმის ხე“ (სალიპი, 1997, გვ. 41).

ნოველიდან ვიგებთ, რომ ვად ჰამიდი უძველეს დროში წმინდანი იყო, რომელმაც ვეღარ გაუძლო უზნეო ბატონთან ცხოვრებას და ღმერთს სთხოვა დახმარება. ღმერთმა ის პალმის ხესთან მიიყვანა. მერე თითქოს მიწა გაიპო და სოფელი შვა. ეს ისტორია თაობიდან თაობას გადაეცემა. სოფლის მოსახლეობა ყოველ ჯერზე ცდილობს გადაარჩინოს პალმის ხე მოჭრისგან, რადგან გაჭირვების ჟამს ხსნას სწორედ მისგან ელის. ქალაქის სხვადასხვა მთავრობისგან გამოგზავნილი ადამიანები ქადაგებენ ხის მოჭრის აუცილებლობაზე და ამას სოფლის პირობების გაუმჯობესებით ამართლებენ. მათთვის ხე საუკეთესო ადგილია წყლის ჭაბურღილის გასაკეთებლად, სასოფლო-სამეურნეო პროექტის ასამუშავებლად, ნავსადგურის ასაშენებლად. ხალხი, რომელიც ხმას არაფერზე იღებს, ხის მოჭრის დროს ერთ მუშტად იკვრება და მის გადასარჩენად მზადაა სისხლის უკანაწეულ წვეთამდე იბრძოლოს, რადგან ხე მათი იდეტობის განუყოფელი ნაწილია. ვად ჰამიდის პალმის ხე ერის გამოღვიძების სიმბოლო გახდება და კიდევ უფრო საპატიო ადგილს დაიკავებს სოფელში, ხალხი კი ძველებურ ცხოვრებას განაგრძობს. ქალაქელი სტუმარი ინტერესდება როდის გაკეთდება სოფელში ჭაბურღილი, სასოფლო-სამეურნეო პროექტი და ნავსადგური, რაზეც მთხრობელი ასე პასუხობს: „როცა ადამიანები დაიძინებენ და სიზმარში პალმის ხეს ვეღარ ნახავენ... როცა ჩვენ შორის მომრავლდება უცხო სულის ახალგაზრდები“ (სალიპი, 1997, გვ. 53). „ვად ჰამიდის პალმის ხეს“ ფონად გასდევს ის პოლიტიკური და ისტორიული სინამდვილე, რომელიც სუდანის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარდა ქვეყანაში, როცა ხელისუფლებას სურდა სოფლების მოდერნიზაცია. ვად ჰამიდის პალმის ხე არის სიმბოლო ქალაქსა და სოფელს, ძველ და ახალ თაობას, ტრადიციასა და მოდერნულობას შორის ბრძოლისა. მისი მოჭრით ხელისუფლებას სურს ხალხის მეხსიერებაში ძველი რწმენა-წარმოდგენები წაშალოს.

ამრიგად, სალიპის ცნობილ რომანში „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“ ორი კულტურის შეხვედრის შედეგად გამოწვეული მთავარი გმირის კულტურული იდენტობის პრობლემა მწვავედ დგას. პოსტკოლონიურ ეპოქაში პოლიტიკური მუხტი უფრო აგრესიული ჩანს. მთავარი გმირის

მიზანი ხდება აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობების ერთმანეთთან შეჯერება და იდენტობის კრიზისის დაძლევა, რომელიც ყოველთვის წარმატებით ვერ სრულდება. ავტორი რომანში კულტურათა კონფრონტაციის პოლიტიკურ მხარეს წარმოაჩენს და ორ სიუჟეტურ ხაზს ავითარებს, რომელთაგან ერთი რადიკალურია, მეორე – ზომიერი: მუსტაფას შემთხვევაში ევროპასთან ურთიერთობა არის მასზე შურისძიების იარაღი კოლონიური პოლიტიკის გამო, ხოლო მთხრობელის შემთხვევაში – განათლების წყარო. სალიჰის ნოველაში „ვად ჰამიდის პალმის ხე“ კულტურული იდენტობის პრობლემას ქმნის ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება. კრიზისი ჩნდება პალმის ხის მოჭრის საშიშროებით, რომელიც ხალხის იდენტობის განუყოფელ ნაწილია, ამიტომ, საბოლოოდ სოფლის მოსახლეობა იმარჯვებს. ორივე განხილული ტექსტი ღრმად იკვლევს კულტურული იდენტობის თემას პოსტკოლონიურ სამყაროში. სალიჰის პერსონაჟები განიცდიან იმ შინაგან კონფლიქტებს, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა ადამიანი მოქცეულია ორ: კოლონიურსა და მშობლიურ, თანამედროვესა და ტრადიციულ, დასავლურსა და აღმოსავლურ – სამყაროს შორის.

კოლონიალიზმის ეპოქაში ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს შეხვედრამ და კულტურათა კონფრონტაციის მოტივმა ფართო ასპარეზი ჰპოვა სალიჰის ლიტერატურულ ტექსტებში. როგორც ევროპული, ისე არაბული ლიტერატურული დისკურსი, სადაც აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის თემაა წინ წამოწეული, ფაქტობრივად, შედეგია დასავლური კოლონიური პოლიტიკისა, რომელმაც მთელი სისტემა შექმნა: თუ როგორ უყურებდა ევროპა არაბულ სამყაროს და როგორ ქმნიდა გარკვეულ სტერეოტიპებს მასზე, რასაც აღმოსავლეთის მხრიდან, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია მოჰყვა, გამლიერდა იდენტობის გამოკვეთის მოთხოვნილება. მეტიც, XX საუკუნის ზოგიერთი არაბული ლიტერატურული ტექსტი პოსტკოლონიურ ეპოქაში შურისძიებისკენ მიმართულ ერთგვარ იარაღადაც კი იქცა.

გამოყენებული ლიტერატურა / References:

- Al-Ṭayyib Ṣāliḥ. (1997). *Mawsim al-hijrah ilā al-shamāl* [Season of Migration to the North]. Tunis: Dār al-Janūb lil-Nashr.
- Al-Ṭayyib Ṣāliḥ. (1997). *Dūmat wad Ḥamid: Sab' Qiṣaṣ* [The Doum Tree of Wad Ḥamid: Seven Stories]. Beirut: Dār al-Jil.
- Geographies in Modern Arabic Travel Narratives. In I. E. Boer (Ed.), *After Orientalism: Critical Entanglements, Productive Looks* (pp. 201-217). Brill.
- Hawley, J. C. (2001). *Encyclopedia of Postcolonial Studies*. Greenwood Press.
- Kudsieh, S. (2003). Season of Migration to the North: (Be)Longing, (Re)Location, and Gendered
- Siddiq, M. (1978). The process of individuation in Al-Ṭayyib Ṣāliḥ's novel *Season of Migration to the North*. *Journal of Arabic Literature*, 9(1), 67-104. <https://doi.org/10.1163/157006478X00084>
- Wielandt, R. (1981). The problem of cultural identity in the writings of Al-Ṭayyib Ṣāliḥ. In F. Körner (Ed.), *Schriften zum Islam und zur arabischen Literatur der Gegenwart* (Band 353, pp. 487-515). De Gruyter Brill.